სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა

ელექტრონული ტენდერი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები

სავარაუდო ღირებულება – 92820.00 ლარი

სატენდერო დოკუმენტაცია

*სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების საფუძველზე.

2016 წელი

ქ. თბილისი

სარჩევი

1. ტექნიკური და სხვა მოთხოვნები
2. დანართი 1 - სამუშაოების აღწერილობა და მოცულობები (ხარჯთაღრიცხვა)
3. დანართი 2 - რეკვიზიტები
4. დანართი 3 - ინფორმაცია გამოცდილების შესახებ
5. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ტექნიკური და სხვა მოთხოვნები

➢ 1. **შესყიდვის ობიექტია:** *თსუ რ. აგლაძის სახ. არაორგანული ქიმიისა და ელ. ქიმიის ინსტიტუტის შენობის სარემონტო- სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვა.*

1.1. აღწერილობა და მოცულობა: ტექნიკური პარამეტრები, სრული აღწერილობა და ჩამონათვალი იხ. დანართი.

1.2. ვიტრაჟისა და ფანჯრების კონფიგურაცია იქნება უკვე არსებულის იდენტური, (მინდელის 11, არაორგანული ქიმიისა და ელ. ქიმიის ინსტიტუტი, მე-2 სართული) 1.3 . ვიტრაჟი/ფანჯრები თეთრი.

2. სავალდებულო მოთხოვნები:

2.1. შესრულებულ სამუშაოებზე უნდა ვრცელდებოდეს მინიმუმ 5 (ხუთი) წლიანი საგარანტიო პერიოდი (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან), რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს გამოვლენილი ხარვეზებისა და წუნის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე.

2.2. ფასით გამარჯვებულმა პრეტენდენტმა შეტყობინებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში შემსყიდველ ორგანიზაციაში უნდა წარმოადგინოს: მასალის ნიმუში - პლასტიკატისა და თუნუქის პროფილების გადანაჭერი.

2.3. ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტს შესრულებული უნდა ჰქონდეს შემსყიდველის სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის სირთულისა და შინაარსის სამუშაოები მოცულობით არანაკლებ 200 000 ლარის ოდენობისა. აღნიშნულის დასადასტურებლად პრეტენდენტმა ერთიან ელექტრონულ სისტემაში ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად უნდა ატვირთოს თითეული შესრულებულ შამუშაოზე დამკვეთთან გაფორმებული ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები ან მათი ტოლფასი დოკმენტების ასლები.

2.4. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება (ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში):

იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტი ვალდებულია უზრუნველყოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება და დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა. აღნიშნულის თაობაზე პრეტენდენტი ვალდებულია შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში (არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა) უზრუნველყოს შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა, რომელიც გაცემული უნდა იყოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის ან დამოუკიდებელი სერთიფიცირებული აუდიტორის მიერ.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნას თან უნდა ახლდეს ბაზრის კვლევისას გამოყენებული დოკუმენტაცია (მაგ. ანგარიშფაქტურა/ინვოისი, ხელშეკრულება და სხვა).

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ, დასაბუთება პრეტენდენტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი ან წარმოდგენილი დასაბუთება შემსყიდველის მიერ არ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად, მოხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

3. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

3.1. მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული ფასები უნდა იყოს საბოლოო და შეიცავდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

3.3. ანგარიშსწორება ,,შემსყიდველსა'' და ,,მიმწოდებელს'' შორის განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა #2, შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურისა და ინსპექტირების დადებითი დასკვნის საფუძველზე, დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.
ანგარიშწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად (2 ეტაპად), ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად, თუ შესრულებული იქნება სამუშაოების საერთო მოცულობის 40%-ზე მეტი.

საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება მთლიანად დასრულებულ (100%) ფაქტობრივად დასრულებულ სამუშაოებზე **ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, რომლის წარმოდგენის ვალდებულება და ფინანსური ხარჯის გაწევა ეკისრება მიმწოდებელს.**

3.4. წინასაწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

4. სამუშაოების შესრულების ვადა, ადგილი და პირობები

4.1. მიმწოდებელმა სამუშაოები უნდა განახორციელოს შემდეგ მისამართზე:

✓ ქ.თბილისი, მინდელის ქ. #11- თსუ-ს რ. აგლაძის სახ. არაორგანული ქიმიისა და ელ. ქიმიის ინსტიტუტი

4.2. მიმწოდებელმა სამუშაოები უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ და დაასრულოს **არაუგვიანეს 60** **კალენდარული** დღის განმავლობაში.

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ შედგენილი დასკვნის წარმოდგენამდე შემსყიდველს წერილობით წარმოუდგინოს შესრულებული სამუშაოს აქტი და ფორმა #2 დამოწმებული უფლებამოსილი პირის მიერ.

4.4. დასრულებული სარემონტო სამუშაოების მიღება-ჩაბარება ფორმდება **საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტისა და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე.**

5. პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთონ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

5.1. რეკვიზიტები დანართი #2-ის მიხედვით

5.2. შესასრულებელი სამუშაოების ,,ხარჯთაღრიცხვა'' დანართი #1-ის შესაბამისად

5.3. ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების საგარანტიო პერიოდის შესახებ

5.4 ინფორმაცია გამოცდილების შესახებ: **შესრულებული ანალოგიური სამუშაოები მოცულობით არანაკლებ 200 000 ლარის ოდენობისა (დანართი 3-ის მიხედვით) და თითოეულ შესრულებულ სამუშაოზე დამკვეთთან გაფორმებული ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები ან მათი ტოლფასი დოკმენტების ასლები.**

6. *შენიშვნა*: **პრეტენდენტი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს აღნიშნულ ტენდერში, ავტომატურად ეთანხმება ქვემოთ ჩამოთვლილ ინფორმაციას:**

6.1. ანგარიშსწორების ვადებისა და პირობების შესახებ სატენდერო დოკუმენტაციის მე-3 პუნქტის შესაბამისად;

6.2. სამუშაოების შესრულების ვადებისა და პირობების შესახებ სატენდერო დოკუმენტაციის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

7. დამატებითი ინფორმაცია

7.1. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

7.2. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და სატენდერო დოკუმენტაცია დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი ან მისი ნდობით აღჭურვილი (სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე) პირის ხელმოწერითა და/ან ბეჭდით.

7.4. გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე შემსყიდველს წარუდგინოს ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისი ,,ხარჯთაღრიცხვა'' ზემოაღნიშნული ფორმის მიხედვით, შემდგომში ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

რეკვიზიტები: დანართი #2

- პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და სრული დასახელება
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი
- პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფიზიკური მისამართი
- პრეტენდენტის ელფოსტის მისამართი
- საკონტაქტო პირის ტელეფონის ნომერი
- ბანკის კოდი
- ანგარიშსწორების ანგარიში
- საიდენტიფიკაციო კოდი

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

დანართი #3

ინფორმაცია გამოცდილების შესახებ

შესრულებული ანალოგიური სამუშაოები
მოცულობით არანაკლებ 200 000 ლარის ოდენობისა

N	შესრულებული სამუშაოების დასახელება	შემსყიდველის/ დამკვეთის დასახელება	შესრულებული სამუშაოების ღირებულება	დაწყებისა და დასრულების ვადები (წელი, თვე, რიცხვი)
1 2 3				

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

შენიშვნა: სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სატენდერო კომისიის აპარატში, საკონტაქტო პირი მთ. სპეციალისტი, ლია ბაყაშვილი ტელ.: 2 22 78 62 577 57 88 48;
ტექნიკურ საკითხებზე: თეიმურაზ ხარატიშვილი ტელ.: 599 553 782 ან 599 282 782 ეკა

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ *ხელშეკრულების პროექტი*
ხელშეკრულება #

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. თბილისი 2016 წელი

ერთის მხრივ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავით ჩომახიძის სახით და მეორეს მხრივ, ——————— (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის——————— სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელქტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „ტექნიკური დავალება“ – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, ,,ხარჯთაღრიცხვა” დანართი 1, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

2. *ხელშეკრულების საგანი*

2.1. თსუ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების დაფინანსების ფარგლებში ***თსუ რ. აგლაძის სახ. არაორგანული ქიმიისა და ელ. ქიმიის ინსტიტუტის შენობის სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვა.*** (CPV 45400000).

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა და ძირითადი მახასიათებლები მოცემულია ტექნიკურ დავალებასა და ,,ხარჯთაღრიცხვაში” დანართი 1-ში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. მოცულობა და ღირებულება:

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: ---------- (---------- ლარი, ------- თეთრი) ლარს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელთა (ინსპექტირების) ჯგუფი და/ან სხვა საამისოდ უფლებამოსილი პირი - მოწვეული ექსპერტი, რომელთაც შეუძლიათ ინსპექტირება განახორციელონ ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად. ინსპექტირება გულისხმობს შესაბამისობის დადგენას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან, ხელშეკრულების პირობების შესრულებას, მიწოდებისათვის აუცილებელი პირობებისა და ნორმების დაცვას.

4.2. ,,შემსყიდველის” შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი, ,,მიმწოდებელი” ვალდებულია 10 (ათი) დღის ვადაში გამოასწოროს აღმოჩენილი წუნი, იმ შემთვევაში თუ წუნის გამოსწორება

შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს სამუშაოების ღირებულება, ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია დაუბრუნის ,,შემსყიდველს'' შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

4.3. ,,შემსყიდველი'' ვალდებულია ოპერატიულად აცნობოს ,,მიმწოდებელს'' საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს ნაწილის და წუნდების მიზეზის მითითებით.

5. *სამუშაოების შესრულების ვადა, ადგილი და პირობები*

5.1. მიმწოდებელმა სამუშაოები უნდა განახორციელოს შემდეგ მისამართზე:

✓ ქ.თბილისი, მინდელის ქ. #11- თსუ-ს რ. აგლაძის სახ. არაორგანული ქიმიისა და ელ. ქიმიის ინსტიტუტი.

5.2. მიმწოდებელმა სამუშაოები უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ და დაასრულოს არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის განმავლობაში.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენამდე შემსყიდველს წერილობით წარმოუდგინოს შესრულებული სამუშაოს აქტი და ფორმა #2 დამოწმებული უფლებამოსილი პირის მიერ.

6. სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. დასრულებული სარემონტო სამუშაოების მიღება-ჩაბარება ფორმდება **საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტისა და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე.**

7. *ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები*

7.1. ,,მიმწოდებელთან'' ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

7.2. ანგარიშსწორება ,,შემსყიდველსა'' და ,,მიმწოდებელს'' შორის განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა #2, შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურისა და ინსპექტირების დადებითი დასკვნის საფუძველზე, დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

7.3 ანგარიშწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად (2 ეტაპად), ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად, თუ შესრულებული იქნება სამუშაოების საერთო მოცულობის 40%-ზე მეტი.

7.4 საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება მთლიანად დასრულებულ (100%) ფაქტობრივად დასრულებულ სამუშაოებზე **ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე,** **რომლის წარმოდგენის ვალდებულება და ფინანსური ხარჯის გაწევა ეკისრება მიმწოდებელს.**

8. *გარანტია*

8.1. ექსპლოატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში შესრულებული სამუშაოს ხარისხზე მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომელიც მოცემულია ხელშეკრულების შესაბამის დანართში.

8.2. შესრულებული სამუშაოების საგარანტიო პერიოდი: - 5 (ხუთი) წელი, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზისა და წუნის გამოსწორება შეტყობინებიდან დაუყოვნებლივ.

9. ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, მხარეებმა დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს 1 დღის ვადაში) უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი გამომწვევი მიზეზის და შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო მოკლე ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

10. *მხარეთა პასუხისმგებლობა*

10.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,1 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3. ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0,1 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, მიმწოდებელი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზრაურება.

10.5. საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილი უნდა იქნას მხარისათვის (მიმწოდებელი) აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვეში.

10.6. მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვანის შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.7. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. *მხარეთა უფლება-მოვალეობები*

11.1. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

11.1.1. მოსთხოვოს „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი შესრულება;

11.1.2. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

11.1.3. მოითხოვოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა დამატებითი ანაზღაურების გარეშე. ხარვეზების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში შეუჩეროს „მიმწოდებელს" დაფინანსება.

11.1.4. შეწყვიტოს ხელშეკრულება სამუშაოს ხარისხისა და/ან ხელშეკრულების პირობების გაუარესების გამო;

11.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

11.2.1. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ღირებულების გადახდა მე-7 პუნქტის შესაბამისად.

11.3. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

11.3.1. მოსთხოვოს „შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

11.3.2. მოსთხოვოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი დაცვა;

11.4. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

11.4.1. განახორციელოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხელშეკრულების მე-5 პუნქტის შესაბამისად;

11.4.2. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაცვა;

11.4.3. განიხილოს „შემსყიდველის" პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა კითხვაზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება.

12. *ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა*

12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

12.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

12.5. თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ შეუძლებელია შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი დააჯარიმოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

13. *დაუძლეველი ძალა*

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი

ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

13.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

13.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. *დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

14.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. *ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი პირების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 სექტემბრამდე. ამასთან, ხელშეკრულება ინარჩუნებს იურიდიულ ძალას მხარეებისათვის მე-8 პუნქტში მითითებულ პერიოდამდე.

16. *დასკვნითი დებულებები*

16.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'', ორი - ,,შემსყიდველთან''.

17. *მხარეთა რეკვიზიტები*

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი_____